მუხლი1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კოდექსის, ,,ხულოს საბავშვო ბაღების გაერთიანების'' (შემდგომში -საბავშვო ბაღების გაერთიანება) წესდების შესაბამისად.

2. შინაგანაწესის მიზანია:

ა) სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულების მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისთვის მომზადება. ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას. სახელმწიფო აცნობიერებს განათლების მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოების განვითარებისთვის და აცხადებს, რომ განათლებაზე ზრუნვა იწყება ადრეული, სკოლამდელი ასაკიდან. შეიძლება ითქვას,რომ საქართველოში სკოლამდელი აღზრდა სცილდება ბავშვის მხოლოდ სკოლისთვის მომზადების არეალს და მიზნად ისახავს მის პიროვნებაზე ისეთი ზეგავლენის მოხდენას, რაც ბავშვს საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო ჩვევებს განუვითარებს.

ბ) შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;

გ) სამუშაო დროის მოწესრიგება და რაციონალური გამოყენება;

მუხლი 2. საბავშვო ბაღის მუშაობის დღის განრიგი

საბავშვო ბაღში დაწესებულია სამუშაო დღის შემდეგი განრიგი:

ა) 8^{30}-9^{30} სთ.-ბავშვის მიღება, მასწავლებელი მშობლებს აცნობს დღის სამუშაო გეგმას;

ბ) 9^{30}-10^{30} სთ -ბავშვების მონაწილეობით ჯგუფის დალაგება, საუზმისათვის სუფრის გაწყობა, საუზმე;

გ) 10^{30}-11^{30} სთ-აქტივობის ცენტრებში საქმიანობის გაგრძელება. ორგანიზებული თამაშ-მეცადინეობები, დიდაქტიკური თამაშები მათემატიკასა და მეტყველების განვითარებაში, სახვითი ხელოვნება, მუსიკა, ხელთშრომა;

დ) 11^{30}-13^{15} სთ.-ორგანიზებული და თავისუფალი აქტივობა (ეზოში ფიზიკულტურული და სხვა მოძრავი თამაშები), მასწავლებლის მიერ ბავშვებზე დაკვირვება;

ე) 13^{15}-13^{50}.- ჯგუფში დაბრუნება, ჰიგიენური პროცედურა, ბავშვების მონაწილეობა სუფრის გაშლაში, სადილი, სუფრის ალაგება ბავშვების მონაწილეობით, მასწავლებლის მიერ ბავშვებზე დაკვირვება;

ვ) 13^{50}-15^{30} სთ.-დღის დასვენებითი ძილის ორგანიზაცია; ბავშვების ეტაპობრივი დაძინება, ვინც არ იძინებს აქტივობის ცენტრში თამაშობს;

ზ)15^{30}-16^{00} სთ.-ძილის რეჟიმის დასრულება, თავისუფალი საქმიანობა, ბავშვები საკუთარი სურვილებით განაგრძობენ მუშაობას, აგრძელებენ დილით დაწყებულ საქმიანობას;

თ) 16^{00}-16^{30}-სთ. -სამხარი;

ი) 16^{30}-17^{30} სთ.- ეზოში გარემოს შეცნობა, დამოუკიდებელი თამაში, ორგანიზებული მოძრავი თამაშობები;

კ) 17^{30}-18^{30} სთ.-მშობლების მიღება, დღის განმავლობაში ჩატარებულ სამუშაოზე გასაუბრება; ბავშვის სახლში გასტუმრება.

მუხლი3. სამუშაო დროის ხანგრძლივობა

1. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებულთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება საბავშვო ბაღის სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე.

2. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება როგორც წესი 5 დღიანი სამუშაო კვირითა (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) და კვირაში არაუმეტეს 41 საათის ოდენობით, გარდა წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

3. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება:

ა) გაერთიანების ადმინისტრაციაში დასაქმებულთათვის 09^{30} სთ-დან 18^{00} სთ-მდე;

ბ) საბავშვო ბაღის მენეჯერისთვის 09სთ-დან 18^{30}სთ-მდე;

გ) უფროსი აღმზრდელისათვის 08^{30}სთ-დან 16^{30}სთ-მდე;

დ) აღმზრდელისათვის;

დ. ა) სრულ განაკვეთზე დასაქმებულისათვის დილის ცვლაში 8^{30} სთ-დან 14^{30} სთ-მდე;

დ. ბ) სრულ განაკვეთზე დასაქმებულისათვის საღამოს ცვლაში 1230 სთ-დან 1830 სთ-მდე;

ე) აღმზრდელის თანაშემწისათვის 08^{30}სთ-დან 17^{30}სთ-მდე;

ვ)ლოგოპედისათვის 10^{00} სთ-დან 15^{00} სთ-მდე;

ზ)ფსიქოლოგისათვის 10^{00}სთ-დან 15^{00} სთ-მდე;

თ) მუსიკის მასწავლებლისათვის;

თ. ა) სრულ განაკვეთზე დასაქმებულისათვის 10^{00} სთ-დან 16^{00} სთ-მდე;

თ.ბ)ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულისათვის 15^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე;

ი) მზარეულისათვის 09 სთ-დან 17 სთ-მდე;

კ) მზარეულის თანაშემწისათვის 09^{00} სთ-დან 17^{00}სთ-მდე;

ლ) მედდისათვის 09^{00} სთ-დან 17^{00} სთ-მდე;

მ) მნესათვის 8^{30} სთ-დან 16^{30} სთ-მდე;

ნ) მრეცხავისათვის:

ნ.ა) შაბათ-კვირას 10^{00} სთ-დან 15^{00} სთ-მდე;

ნ.ბ) პარასკევს 10^{00} სთ-დან 12^{00} სთ-მდე, ასევე 17^{00} სთ-დან 20^{00} სთ-მდე;

ნ.გ) კვირის სხვა სამუშაო დღეებში 10^{00} სთ-დან 12^{00} სთ-მდე;

ნ.დ) მცირეჯგუფიანი საბავშვო ბაღების მრეცხავისათვის სამუშაო დღის განმავლობაში 10^{00}სთ-დან 18^{00}სთ-მდე;

ნ.ე) არასტანდარტულ ტიპის საბავშვო ბაღებში 10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე;

ო)დარაჯისათვის;

ო.ა) შაბათ-კვირას და უქმე დღეებში 9^{00} სთ-დან მეორე დღის 9^{00} სთ-მდე;

ო. ბ) კვირის სხვა დღეებში 18^{00}სთ-დან მეორე დღის 8^{00} სთ-ის ჩათვლით;

პ) დამლაგებლისათვის 9^{00} სთ-დან 11^{00}სთ-ის ჩათვლით და 17^{00} სთ-დან 18^{00} სთ-ის ჩათვლით.

ჟ) მებაღე-მეეზოვესათვის 10^{00} სთ-დან 15^{00}სთ-ის ჩათვლით;

რ) ცეცხლფარეშისათვის 8^{00}სთ-დან 17^{00} სთ-ის ჩათვლით.

4. სამუშაო დროში არ შედის შინაგანაწესის 4-ე მუხლით განსაზღვრული შესვენების დრო.

5. დასაქმებული, რომელიც სამსახურებრივ საქმეზე, თავისი მოვალეობის შესასრულებლად იმყოფება საბავშვო ბაღების გაერთიანების გარეთ ითვლება სამსახურში მყოფად.

მუხლი 4. შესვენების და დასვენების დრო

1. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებულებისათვის განსაზღვრული შესვენების დრო განისაზღვრება:

ა) ადმინისტრაციაში დასაქმებულებისათვის, მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების სამეურნეო დარგის სპეციალისტებისათვის 13.00 სთ-დან 14.00-სთ-მდე; საბავშვო ბაღის მენეჯერისათვის 15.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე;

ბ) აღმზრდელის თანაშემწისათვის 14.30 თ-დან 15.30 სთ-მდე; ცეცხლფარეშისათვის 14.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დასაქმებულების გარდა საბავშვო ბაღების გაერთიანების სხვა დასაქმებულები სამუშაოს ასრულებენ შესვენების გარეშე, საბავშვო ბაღების გაერთიანების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

3. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებულებისათვის დასვენების დროდ განსაზღვრულია (შაბათი, კვირა) და საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეები.

მუხლი 5. შვებულება და საავადმყოფოს ფურცლის გამოყენების პირობები და წესი

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციაში, ასევე საბავშვო ბაღებში დასაქმებული თანამშრომლები კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით

სარგებლობენ გაერთიანების დირექტორის მიერ შესაბამისი ბრძანებით წინასწარ დამტკიცებული გეგმა გრაფიკით.

2. დასაქმებულის შვებულებაში გასვლის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი. შვებულებაში გასვლა ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

3. ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი, საშვებულებო ანაზღაურება, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და შვებულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

4. მოსამსახურის მიერ საავადმყოფო ფურცლის წარმოდგენისას, მისი დროებით შრომისუუნარობის პერიოდში გაცდენილი სამუშაო დრო ჩაითვლება საპატიოდ, შეუ-ნარჩუნდება დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. მოსამსახურე საავადმყოფო ფურცელზე გასვლამდე ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს ბაღების გაერთიანების დირექტორს.
6. მოსამსახურე საავადმყოფო ფურცლის დახურვისას ვალდებულია სამსახურში გამოსვლიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით აცნობოს ბაღების გაერთიანების დირექტორს და ამავდროულად წარუდგინოს საავადმყოფო ფურცელი.

მუხლი 6. მივლინება

1. დასაქმებულის მივლინების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი. მივლინება ფორმდება ბრძანებით. მივლინების შესახებ შესაბამისი ბრძანების საფუძველზე საბავშვო ბაღების გაერთიანების იურისტი დასაქმებულზე ადგენს სამივლინებო ფურცელს.

2. დასაქმებულს მივლინების პერიოდში უნარჩუნდება შრომითი ურთიერთობა დამსაქმებელთან და შესაბამისი შრომის ანაზღაურება.

3. დასაქმებულზე სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ საქართველოს **ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების** შესაბამისად.

4. სამივლინებო ანაზღაურება დასაქმებულს შეიძლება მიეცეს წინასწარ (მივლინებაში წასვლამდე) ან მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ. მივლინებიდან დაბრუნებული დასაქმებული ვალდებულია საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორს წარუდგინოს შესაბამისი მოხსენებითი ბარათი და დაურთოს მივლინებაში ყოფნასთან დაკავშირებული, არსებული წესით დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტები (მგზავრობის ბილეთი, სასტუმროს ქვითარი და სალარო აპარატის ჩეკი).

მუხლი 7. შრომის ანაზღაურება

1. საბავშვო ბაღების გაერთიანების დასაქმებულის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე დამსაქმებელთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულებით.

2. შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, ყოველი თვის 23 რიცხვის შემდეგ, საბანკო სისტემის მეშვეობით, შესაბამის პლასტიკურ ბარათზე დარიცხვის გზით.

3. დასაქმებულზე გასაცემი შრომის ანაზღაურებიდან დაქვითვა ხორციელდება დამსაქმებლის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. დასაქმებულის სამსახურში გამოუცხადებლობა, დაგვიანება ან/და ადრე წასვლა

1. საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებულის ავადმყოფობის, ოჯახური პირობების გამო, ან სხვა საპატიო მიზეზების გამო სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორს წინასწარ, **ერთი დღით ადრე, ან განსაკუთრებულ შემთხვევაში კი სამუშაო საათების დაწყებამდე 1 საათით ადრე მაინც წარუდგინოს ზეპირი ან/და წერილობითი განცხადება** სამსახურში არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე **შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით.** ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულში დასაქმებულები ამის შესახებ წერილობით მიმართავენ შესაბამის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ხოლო ეს უკანასკნელი წერილობით აცნობებს ბაღების გაერთიანების დირექტორს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ან **განცხადების წარუდგენლობის** შემთხვევაში სამსახურში გამოუცხადებლობა ითვლება სამსახურის არასაპატიოდ გაცდენად. თვის განმავლობაში **ზედიზედ 2 დღით ან საერთო ჯამში 3 დღით** სამსახურის თვითნებური მიტოვება წარმოადგენს დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სამსახურიდან თავისუფლდება **არაუმეტეს 2** სამუშაო დღით. თუ სამსახურში გამოუცხადებლობა გრძელდება **ზედიზედ 30 კალენდარულ** დღეს მაშინ აღნიშნული წარმოადგენს შრომითი **ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს.**

5. სამსახურში დღის განმავლობაში შესაძლო დაგვიანების ან სამუშაო დროის დასრულებამდე სამსახურიდან წასვლის შესახებ დასაქმებული ზეპირად ატყობინებს საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორს ან/და მოადგილეს, ხოლო ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული მოსამსახურეები სტრუქტურულ ერთეულის ხელმძღვანელებს, რომელთა ზეპირი ნებართვაც საკმარისია აღნიშნულის დაკმაყოფილებისათვის. თუ დასაქმებული ნებართვის გარეშე აგვიანებს ან/და ადრე მიდის სამსახურიდან ან თუ ასეთი მოთხოვნა **სისტემატური ხასიათისაა** მაშინ ამ დასაქმებულის მიმართ ტარდება შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებები,

მუხლი 9. წახალისება

1. საბავშვო ბაღის დასაქმებულთა გაერთიანების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ზეგანაკვეთური მუშაობისათვის, (არა სამუშაო საათებსა და დღეებში) განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი პრემია;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

2. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს დირექტორი, რაზედაც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

მუხლი 10. დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. დასაქმებულის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის სისტემატური ან/და უხეში დარღვევის, ზოგადზნეობრივი ნორმების დარღვევის, საბავშვო ბაღების გაერთიანების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენის შემთხვევაში დასაქმებულის მიმართ ტარდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებები.

2. დასაქმებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ფორმები:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

დ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით.

ე) განთავისუფლება (შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა).

3. დისციპლინარული გადაცდომისათვის შეფარდებული სახდელის მოხსნის წესი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) გაფრთხილებისათვის -3-დან 6 თვემდე

ბ) საყვედურისათვის -6-დან 12 თვემდე

გ) დისციპლინარული სახდელის მოხსნის წესი დამტკიცდება გაერთიანების დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

დ) ბაღების გაერთიანების დირექტორს უფლება აქვს მსუბუქი დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირს ვადაზე ადრე მოუხსნას დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ მას არ ჩაუდენია ახალი დისციპლინური გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა მოხელემ.

4. თანამშრომლის მიმართ ჩადენილი გადაცდომისათვის დისციპლინარული წარმოება შესაძლებელია დაიწყოს ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში;

5. დისციპლინარული გადაცდომის ფაქტს იხილავს გაერთიანების შესაბამისი დისციპლინარული კომისია, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით და რეკომენდაციას აძლევს გაერთიანების დირექტორს გამოსაყენებელი დისციპლინარული სახდელის ფორმის თაობაზე.

6. თანამშრომლის მიმართ დისციპლინარული სახდელის შეფარდების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გაერთიანების დირექტორი, რაზედაც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

1. შინა განაწესი სავალდებულოა შესასრულებლად საბავშვო ბაღების გაერთიანების ყველა დასაქმებულთათვის.

2. შინაგანაწესი გამოიკვრება საბავშვო ბაღების გაერთიანებაში და სტრუქტურულ ერთეულებში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას.

3. შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში მოსამსახურეს ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა.

4. ყველა ის საკითხი, რომელიც არ რეგულირდება ამ შინაგანაწესით დარეგულირდეს გაერთიანების დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

5. მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. საბავშვო ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციული სამსახური ვალდებულია გააცნოს მოსამსახურეს წინამდებარე შინაგანაწესი, რაც დასტურდება მოსამსახურის ხელმოწერით.

4. ხელწერილი შინაგანაწესის გაცნობის თაობაზე ინახება მოსამსახურის პირად საქმეში

7. შინაგანაწესში ცვლილებები შეიტანება მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით დირექტორის ბრძანებით.

8 . შინაგანაწესი ძალაში შედის ბაღების გაერთიანების დირექტორის ხელმოწერისთანავე.

დირექტორი: /გურამ ხოზრევანიძე/